

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #563  
2009 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის #490 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის #490 ბრძანებით დამტკიცებული წესდების (სსმ III, 04.06.2008, #80, მუხ.864) 51-ე მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და მათი მოადგილეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.“
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. გვარამია

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.013.383 06.08.2009 წ.